

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ესებუას მიერ
2019 წელს გაწული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, როგორც საკრებულოს წევრი და ამავე დროს საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებული ვარ ანგარიში გაწული საქმიანობის შესახებ ამომრჩევლებს ჩავაბარო. საკრებულოს, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითად პოლიტიკური ორგანოს ხელმძღვანელობა, განაპირობებს ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პოლიტიკური თანამდებობის პირის სტატუსს. ხოლო ნდობის მაღალი მანდატი განპირობებულია მოსახლეობისა და შემდეგ უკვე საკრებულოს წევრების მხრიდან გამოცხადებული ნდობით და დაკისრებული პასუხისმგებლობით. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც მიღებული ნდობის შენარჩუნება, პოლიტიკური პროცესების მართვა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაა. მიღებული გადაწყვეტილებები უნდა პასუხობდნენ ადგილზე ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს, საზოგადოებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისას. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, არჩეული ვარ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, წარდგენილი ვიყავი მ.პ.გ. „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს პროპორციული სიის პირველ ნომრად.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა განსაზღვრულია კანონმდებლობით. უფლებამოსილებები დაკავშირებულია როგორც საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობასა და საკრებულოს საქმიანობის კოორდინაციასთან, ასევე მოიცავს ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას. წარვმართავ საკრებულოს, ბიუროს სხდომებს, განვიხილავ საკითხებს, ვიღებ გადაწყვეტილებებს, ვხელმძღვანელობ აპარატის ორგანიზაციულ საქმიანობას, ვახორციელებ საკრებულოს წარმომადგენლობით ფუნქციებს.

2019 წელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპირველესად საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვით დაიწყო. საკრებულოს სამუშაო გეგმა გამომდინარეობს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტიდან და ემსახურება ამ დოკუმენტის განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. თუმცა საქმიანობის დაგეგმვა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამუშაო გეგმით. ჩვენ კომისიების, ფრაქციების, მერის წინადადებების გათვალისწინებით ყოველთვიურად ვახდენთ მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას, სადაც ხდება განსაზღვრული საკითხების დეტალიზება, დაკონკრეტება. სწორედ ამ პრინციპების დაცვით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წელს ჩაატარა 13 სხდომა, სადაც, მიღებლ იქნა 18 განკარგულება, დამტკიცდა 14 დადგენილება. ხოლო ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემულ იქნა 64 ბრძანება.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლითაც საკრებულო და მე, მისი თავმჯდომარე ვხელმძღვანელობ. სწორედ ამ პრინციპების დაცვითა და საკრებულოს განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულებით იწყება თითოეული სამუშაო დღე. საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და უფლებამოსილების განხორციელება ეფუძვნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები შეესაბამება უპირატეს იურიდიული ძალის მქონე აქტებს. შემძლია აღვნიშნო, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის

საკრებულო არის ღია და გახსნილი ორგანო, დემოკრატიული პრინციპების მაქსიმალური დაცვით, ვუზრუნველყოფთ საზოგადოების ინფორმირებას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროცესის შესახებ. საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა, გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

საკრებულომ ყველანაირი ბარიერი გააუქმა ინფორმაციის საჯაროობის, ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეების თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

საკრებულო კოლეგიური ორგანოა, რაც გულისხმობს საკითხთა მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების პროცესში ამ პრინციპის დაცვას. აქ გადაწყვეტილებები მიიღება საკრებულოს წევრთათვის პროექტების დროულად გაცნობის, საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების, საკუთარი აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფითა და კენჭისყრის გზით. ჩვენთვის თითოეული კოლეგის აზრი მნიშვნელოვანია. დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებითა და მოსახლეობის ინტერესებსზე დაყრდნობით, კამათით, მსჯელობით მივდივართ კონსესუსამდე. ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვამ, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთ ორგანიზმად არსებობას, ჩამოაყალიბა ეფექტური მენეჯმენტი და საფუძველი ჩაუყარა სწორ ადმინისტრირებას. გამოვყოფდი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომელზედაც საკრებულომ სწორედ კოლეგიალურობის დაცვით მიიღო გადაწყვეტილებები, ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით კი აღმასრულებელმა ორგანომ, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად აღასრულა ეს გადაწყვეტილებები და უზრუნველყო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გააღწევა. უფრო კონკრეტულად: აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე, საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე, კომისიებსა და ფრაქციებში აქტიური განხილვების შემდეგ, მოსახლეობის ინფორმირებულობის და მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მედიის წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების ჩართულობით, ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაც მოაწყო. საკრებულოს რეკომენდაციები და ინიციატივები აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გაიზიარა და 2019 წლის ბიუჯეტი 6213,4 ათასი ლარით საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა. პრიორიტეტები ბიუჯეტში შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების ხელშეწყობა;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა არაერთი პროექტი და მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. გაიხსნა ახალი თანამედროვე საბავშვო ბაღი მოიდანახეში და ქვედაჩხოროწყეში.

თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. სხვადასხვა სოციალური პაკეტებთან ერთად, 100 % -ით ფინანსდება „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყო. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისათვის ტურიზმის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია. სოფელ მუხურში მიმდინარეობს საკურორტო ზონის ინფრასტრუქტურულად კეთილმოწყობა.

საკრებულოს აპარატი, რომელიც თავისი არსით საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ - ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ზრუნავს. რეგლამენტით დეტალურად არის გაწერილი პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი (chkhorotsku-sakrebulo.ge) და ფეისბუკ გვერდი („ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო“- ყოველდღიურ რეჟიმში ახლდება, როგორც მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების ამსახველი სიახლეებით, ასევე მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდის კანონმდებლობით დადგენის ვადაში საკრებულოს, ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების ჩატარების ადგილზე, დროსა და თარიღზე. აქვეყნებს საკრებულოზე დასამტკიცებელ აქტების პროექტებს, შემდეგ უკვე მიღებულ ნორმატიულ აქტებს, საკრებულოს წევრების და თანამდებობის პირების ანგარიშებს. წელიწადში ერთხელ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშით წარსდგეს ამომრჩევლების წინაშე.

თვითმმართველობა არის ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი ხელისუფლება, რაც ვალდებულებებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

მადლობა ნაყოფიერი 2019 წლისთვის პირველ როგში ჩემს კოლეგებს- საკრებულოს წევრებს, რომლებმაც დიალოგის, კამათის, შეხედულებების ურთიერთგაზიარების საფუძველზე მიიღეს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომ ნორმატიული აქტების სახეს იღებენ და მათ მუნიციპალიტეტის მერია ასე ეფექტურად ახორციელებს.

საკრებულოს აპარატს და თითოეულ თანამშრომლეს, რომლებიც პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს. და ბოლოს მადლობა თითოეულ ჩვენს მოქალაქეს თმენისა და დიდი ნდობისათვის. მესმის, მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი, თუმცა მერწმუნეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა წარმომადგენელი ვცდილობთ მოსახლეობასთან დიალოგის გზით და მათთან ერთად პრიორიტეტების დასახვით, ახალი ინიციატივებით, ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული საქმიანობით, ეტაპობრივად, ყველა სოფელში მოვაწესრიგოთ ინფრასტრუქტურა, ხელი შევუწყოთ განათლებას, გავაუმჯობესოთ სოციალური გარემო. მე მჯერა, 2020 წელი კიდევ უფრო მეტი განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული ვალდებულებების წელი იქნება.

ბესიკ ესებუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

30.11.2019 წელი.